



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. კიმ უოლის მემორიალური ფონდის გრანტები ქალებისათვის
2. როიტერის ინსტიტუტი ეძებს სამეცნიერო თანამშრომელს
3. კონკურსი ფოტოჟურნალისტებისთვის- Pictures of the Year International
4. გრანტები საგამოძიებო ჟურნალისტური პროექტებისთვის ეკოლოგიის მიმართულებით
5. მარქეტის უნივერსიტეტის სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის
6. სტიპენდიები ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის პროფესიული ეთიკის თემების გაშუქებისთვის
7. კოლუმბიის უნივერსიტეტის სტიპენდიები ბიზნეს ჟურნალისტიკის სფეროში
8. მილენა ესენსკას სახელობის სტიპენდიები
9. პრემია საუკეთესო საგამოძიებო მასალებისთვის მექრთამეობის თემაზე
10. პრემია საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში
11. ჩინეთში სპორტული თამაშების გაშუქება
12. მონაცემთა ჟურნალისტიკის კონკურსი Sigma Awards
13. ორგანიზაცია New America-ს სასტიპენდიო პროგრამა
14. სტიპენდია ეკოლოგიური ჟურნალისტიკის მიმართულებით
15. კონკურსი One World Media
16. პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების კონკურსი
17. ჯონ შორენშტეინის ცენტრი ჰარვარდში იღებს განცხადებს სტიპენდიის მისაღებად
18. უფასო ონლაინ კურსები OPEN Media Hub-საგან
19. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის
20. პანდემიის გავლენა ლოკალურ თემებზე - პროექტების დაფინანსება

1. კიმ უოლის მემორიალური ფონდის გრანტები ქალებისათვის

გეოგრაფია - მსოფლიო

IWMF იღებს განაცხადებს კიმ უოლის მემორიალური ფონდის გრანტების მისაღებად.

ფონდი ყოველწლიურად გასცემს გრანტებს 5 000 დოლარის ოდენობით. გრანტის მიმღებს ასევე გაეწევა საკონსულტაციო მხარდაჭერა.

გრანტის მისაღებად განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ქალ ჟურნალისტებს არანაკლებ სამწლიანი გამოცდილებით.

საგრანტო თანხა განკუთვნილია ჟურნალისტური პროდუქტის და მასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.

დანვრილებით: <https://bit.ly/3s20HLy>

ვადა: 16 იანვარი 2021 წ

2. როიტერის ინსტიტუტი ეძებს სამეცნიერო თანამშრომელს

გეოგრაფია - მსოფლიო

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მკვლევარ ჟურნალისტებს.

როიტერის ინსტიტუტი იღებს განაცხადებს პოსტსადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, ციფრული ახალი ამბების შესწავლის სფეროში.

შერჩეული სტიპენდიანტი ჩაერთვება ციფრული ახალი ამბების შესწავლის პროექტში (Digital News Project), რომელიც ითვალისწინებს ახალი ამბების აუდიტორიის ანალიზს 40-ზე მეტ ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ციფრულ მედიას, ახალ ამბებს, პოლიტიკას.

კანდიდატებს მოეთხოვებათ მსგავსი მიმართულების სადოქტორო ხარისხი და გამოცდილება. სასურველია, რომ კანდიდატები ერკვეოდნენ მედიის გამოყენების ტენდენციებსა და ახალი ამბების მოხმარებაში.

დანვრილებით: <https://bit.ly/35ibZBr>

ვადა: 18 იანვარი 2021 წ

3. კონკურსი ფოტოჟურნალისტებისთვის - Pictures of the Year International

გეოგრაფია - მსოფლიო

ფოტოკონკურსი Pictures of the Year International (POYi) გასცემს ჯილდოს გამორჩეული ნაშრომებისთვის, შემდეგი მიმართულებით: ფოტოჟურნალისტიკა, მულტიმედია, ვიზუალური რედაქტირება.

მიმდინარე წლის ახალი კატეგორიები მოიცავს ფოტოისტორიებს COVID-19-ის კონტექსტში: "2020 წლის გავლენა არჩევნებზე", "2020 წლის გავლენა პროტესტზე" და „წლის ფოტოისტორია, შექმნილი ადგილობრივი გუნდის მიერ.“

გამარჯვებულები მიიღებენ ჯილდოს 1 000 დოლარის ოდენობით.

მიიღება ნამუშევრები გამოქვეყნებული 2020 წლის განმავლობაში. კონკურსში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 დოლარს.

დანვრილებით: <https://www.poy.org/>

ვადა: 18 იანვარი 2021 წ

4. გრანტები საგამოძიებო ჟურნალისტური პროექტებისთვის ეკოლოგიის მიმართულებით

გეოგრაფია - მსოფლიო

განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ეკოლოგიის მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტებს, რომელთაც საგამოძიებო მასალებზე მუშაობის გამოცდილება აქვთ.

GRID-Arendal-ის მიერ ორგანიზებული პროგრამა ეკოლოგიური დანაშაულის გამოძიების მიმართულებით გთავაზობთ 4 გრანტს 25 000 ნორვეგიული კრონის ოდენობით.

მასალები უნდა ეძღვნებოდეს ეკოლოგიური დანაშაულის გამოძიებას განვითარებად ქვეყნებში. მზა მასალები უნდა გამოქვეყნდეს ინგლისურ ენაზე. სხვა ენებზე შესრულებულ ნამუშევარს უნდა ახლდეს თარგმანი.

დანვრილებით: <https://www.grida.no/news/17>

ვადა: 22 იანვარი 2021 წ

5. მარქეტის უნივერსიტეტის სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

აღნიშნული სტიპენდიის მოპოვებისთვის განცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომელთაც აქვთ არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

მარქეტის უნივერსიტეტი Milwaukee Journal Sentinel-თან პარტნიორობით იღებს განაცხადებს ო'ბრაიენის სახელობის სტიპენდიაზე.

სტიპენდიანტები 9 თვის განმავლობაში აწარმოებენ კვლევებს, გააშუქებენ მოვლენებს და იმუშავებენ მასალებზე, რომლებსაც საზოგადოებაზე სასიკეთო გავლენა ექნებათ. პანდემიის გამო პროგრამა შეიძლება დისტანციურად გაიმართოს.

სწავლის საფასურთან ერთად მონაწილეები მიიღებენ სტიპენდიას 70 000 დოლარის ოდენობით, სამედიცინო დაზღვევას და სხვა შეღავათებს. დაუფინანსდებათ საცხოვრებელი ხარჯები, მგზავრობა.

დანვრილებით: <https://www.marquette.edu/obrien-fellowship/>

ვადა: 23 იანვარი 2021 წ

6. სტიპენდიები ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის პროფესიული ეთიკის თემების გაშუქებისათვის

გეოგრაფია - მსოფლიო

ახალგაზრდა ჟურნალისტებს - სტუდენტებს ან ახალ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი ორკვირიან საბაფხულო სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, პოლონეთსა და გერმანიაში.

პროგრამა Fellowships at Auschwitz for the Study of Professional Ethics (FASPE) შეარჩევს 14-16 სტუდენტს, რომლებიც აწარმოებენ კვლევას თემაზე: რა როლი შეასრულეს ჟურნალისტებმა ნაცისტურ გერმანიაში, ჰოლოკოსტის ისტორიაში და თანამედროვე პრობლემებში.

პროგრამა შედგება 21 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით. პროგრამა მიეძღვნება სირთულეებს, რომელთაც აწყდებოდნენ გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტები ნაცისტების დროს; ტექნოლოგიების გავლენა ჟურნალისტიკასა და პუბლიცისტიკაზე; ჟურნალისტების როლი მთავრობის მხრიდან ანგარიშვალდებულების გაზრდისა და არაკორექტული ქმედებების ნორმალიზაციაში; ყალბი ინფორმაციის ეპოქაში მოვლენების გაშუქების სირთულეები და სხვა.

დანვრილებით: <https://www.faspe-ethics.org/journalism/>

ვადა: 27 იანვარი 2021 წ

7. კოლუმბიის უნივერსიტეტის სტიპენდიები ბიზნეს ჟურნალისტიკის სფეროში

გეოგრაფია - მსოფლიო

აღნიშნული სტიპენდიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან, რომელთაც აქვთ ბიზნესსა და ეკონომიკაზე მუშაობის არანაკლებ ოთხნობიანი გამოცდილება.

კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლა სასტიპენდიო პროგრამაში Knight-Bagehot მონაწილეობის მიზნით იწყებს განაცხადების მიღებას.

სტიპენდიანტებს შეუძლიათ აირჩიონ ორი აკადემიური მიმართულებიდან ერთი და მიიღონ სერტიფიკატი ეკონომიკის და ბიზნეს ჟურნალისტიკაში, ან მიიღონ მაგისტრის ხარისხი.

პროგრამის ფარგლებში შეძლებენ ჩაერთონ სემინარებსა და საქმიან შეხვედრებში, დაესწრონ ნიუ-იორკის საფინანსო ორგანიზაციების ბრიფინგებს. პროგრამა მიმდინარეობს აგვისტოდან მაისის ჩათვლით და იღებს ათამდე სტიპენდიანტს ყოველწლიურად.

სტიპენდიანტებს დაუფინანსდებათ სწავლება, ასევე მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად.

დანვრილებით: <https://bit.ly/3oyECIL>

ვადა: 31 იანვარი 2021 წ

8. მილენა ესენსკას სახელობის სტიპენდიები

გეოგრაფია - ევროპის ქვეყნები და საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი

გამოცდილი ჟურნალისტები ევროპული ქვეყნებიდან და ასევე საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მონვეული არიან სასტიპენდიო კონკურსში.

მილენა ესენსკას სახელობის სტიპენდია გამარჯვებულებს მისცემს საშუალებას სამი თვის განმავლობაში აწარმოოს კვლევა ვენის ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტში. სტიპენდია ორიენტირებულია კულტურის თემების გაშუქებით დაკავებულ ჟურნალისტებზე, თუმცა მონაწილეობა შეუძლიათ ასევე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ Institute for Human Science-ის პრიორიტეტულ თემებს და თემებს, რომლებიც ეხება ევროპაში სოციალურ ვითარებას.

პროგრამის მონაწილეები თვეში მიიღებენ 2 500 ევროს ოდენობის სტიპენდიას, ოფისს, ინტერნეტთან და უნივერსიტეტის სხვა სერვისებთან წვდომას. კვლევების ფარგლებში შესაძლებელია 1 900 ევროს ოდენობის დამატებითი დაფინანსების მიღება პროექტისთვის საჭირო მგზავრობის ხარჯებისათვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Jp7Rbc>

ვადა: 31 იანვარი 2021 წ

9. პრემია საუკეთესო საგამოძიებო მასალებისთვის მექრთამეობის თემაზე

გეოგრაფია - მსოფლიო

არაკომერციული ორგანიზაცია TRACE International, რომლის საქმიანობაც ეძღვნება მექრთამეობასა და მოსყიდვასთან ბრძოლას, ორგანიზებას უწევს კონკურს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში. კონკურსის მიზანი – ხელი შეუწყოს ბიზნესსაზოგადოებაში გამჭვირვალობას. მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს ბეჭდური, სამაუწყებლო და ონლაინ პლატფორმებიდან.

ნამუშევრები უნდა იყოს გამოქვეყნებული ან ეთერში გადაცემული 2020 წლის განმავლობაში.

არაინგლისურენოვან ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი თარგმანი.

კონკურსის ფარგლებში შეირჩევა ერთი ან ორი გამარჯვებული. თითოეული მათგანი მიიღებს ფულად პრიზს 10 000 დოლარის ოდენობით და დაუფინანსდება მგზავრობა კონფერენციაზე TRACE International, რომელიც გაიმართება 2021 წლის ბაფხულში.

ვადა: 31 იანვარი 2021 წ

დანვრილებით: <https://bit.ly/2JyT4u2>

10. პრემია საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში

გეოგრაფია - მსოფლიო

ჟურნალისტებს და ფოტოგრაფებს აქვთ საშუალება ჩაერთონ კონკურსში და მიიღონ მთავარი ჯილდო 5 000 დოლარი.

Sidney Hillman Foundation გასცემს პრემიას, რომელიც ენიჭება გამომძიებელ ჟურნალისტებს.

მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან, თუმცა მათი ნამუშევრები უნდა იყოს გასაგები ა.შ.შ.-ს აუდიტორიისთვის.

მიმდინარე წელს ნამუშევრები მიიღება შემდეგ კატეგორიებში: წიგნი; მასალა ან მასალების სერია - განთავსებული ონლაინ პლატფორმებსა და გადაცემული სატელევიზიო ეთერის მეშვეობით; ონლაინ-მულტიმედია პუბლიკაციები; ანალიტიკა.

ფინანსური პრემიის გარდა, გამარჯვებულები მიიღებენ დაფინანსებას ნიუ-იორკში გამგზავრებისა და ცერემონიაზე დასწრებისათვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/36t3PHE>

ვადა: 31 იანვარი 2021 წ

11. ჩინეთში სპორტული თამაშების გაშუქება

გეოგრაფია - მსოფლიო

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია (AIPS) იღებს განაცხადებს ახალგაზრდა რეპორტიორების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით. მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ სპორტულ ჟურნალისტებს 19-25 წლამდე.

პროგრამა მონაწილეებს სთავაზობს პრაქტიკული უნარების მიღებას მსოფლიოს სტუდენტური თამაშების გაშუქებისას, რომელიც გაიმართება ჩინეთში 2021 წლის 18-29 აგვისტოს.

ორგანიზატორები დაფარავენ მონაწილეების მგზავრობის, საცხოვრებელ და კვების ხარჯებს.

ვადა: 31 იანვარი 2021 წ

დანვრილებით: <https://bit.ly/3mr3JWw>

12. მონაცემთა ჟურნალისტიკის კონკურსი Sigma Awards

გეოგრაფია - მსოფლიო

უკვე მეორე წელია Sigma Awards მონაცემთა ჟურნალისტიკის მიმართულებით საუკეთესო ნამუშევრებს ავლენს. მიმდინარე წელს პრემია პანდემიის ფონზე მონაცემთა ჟურნალისტიკის მიმართულებით წესდება, ასევე, პოლიტიკის, სპორტის და გარემოს მიმართულებით.

პრიზი, 5 000 დოლარის ოდენობით განაწილდება ჟიურის მიერ შერჩეულ მონაწილეებს შორის.

მასალები შეიძლება იყოს მომზადებული ნებისმიერ ენაზე, მაგრამ თან უნდა ახლდეს მოკლე შინაარსი ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://sigmaawards.org/>

ვადა: 1 თებერვალი 2021 წ

13. ორგანიზაცია New America-ს სასტიპენდიო პროგრამა

გეოგრაფია - მსოფლიო

აღნიშნულ სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, მეცნიერებს, კინემატოგრაფისტებს, ანალიტიკოსებს, რომლებიც სპეციალიზირებული არიან საზოგადოებრივი პოლიტიკის თემებზე.

სასტიპენდიო პროგრამა New America ეძებს იდეებს, რომლებსაც შეუძლიათ პოზიტიური გავლენა მოახდინონ მსოფლიოში თანამედროვე პრობლემებზე. სტიპენდიანტები საკუთარ იდეებს განავითარებენ კვლევების, მოვლენების გაშუქების და ანალიზის მეშვეობით. იდეები შეიძლება მოიცავდეს წიგნზე მუშაობას, სტატიების სერიის შექმნასა და დოკუმენტური ფილმის გადაღებას.

პროგრამა შედგება 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის აგვისტომდე. სტიპენდიის ოდენობა - 15 000-დან 30 000 დოლარამდე.

დანვრილებით: <https://bit.ly/3bd3uvd>

ვადა : 1 თებერვალი 2021 წ

14. სტიპენდია ეკოლოგიური ჟურნალისტიკის მიმართულებით

გეოგრაფია - მსოფლიო

Metcalf Institute იღებს განაცხადებს ჟურნალისტებისაგან ყოველწლიურ სემინარზე დასასწრებად, რომელიც ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

ონლაინ სემინარში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც ეკოლოგიური თემატიკით არიან დაინტერესებული.

დანვრილებით: <https://metcalfinstitute.org/awj2021-applications/>

ვადა : 14 თებერვალი 2021 წ

15. კონკურსი One World Media

გეოგრაფია - მსოფლიო

One World Media-ს ჯილდო გაიცემა ისეთი თემების ავტორობისთვის (ჟურნალისტები და კინემატოგრაფისტები), რომლებმაც, აქტუალობის მიუხედავად ვერ მოიპოვა სათანადო გაშუქება. თემები შეიძლება შეეხებოდეს სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებას აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეალობიდან.

მასალები უნდა იყოს გავრცელებული საერთაშორისო პლატფორმაზე 2020 წლის 13 თებერვლიდან 2021 წლის 16 თებერვლამდე.

დანვრილებით: <https://www.oneworldmedia.org.uk/awards/>

16. პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების კონკურსი

გეოგრაფია - მსოფლიო

პრემიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომელთა ნამუშევრებიც 2020 წლის განმავლობაში საერთაშორისო მედია პლატფორმებზე გამოქვეყნდა.

Society of Professional Journalists (SPJ) იღებს განაცხადებს კონკურსზე Sigma Delta Chi Awards.

კონკურსის კატეგორიები: ბეჭდური მედია, რადიო, ტელევიზია, ხელოვნება და გრაფიკა, გამოძიება, სპეციალური კატეგორია COVID-19-თან დაკავშირებით და ა.შ. არაინგლისურენოვან მასალებს უნდა ახლდეს თარგმანი.

კონკურსში მონაწილეობის ღირებულება - 60 დოლარი. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2021 წლის აპრილში.

დანვრილებით: <https://www.spj.org/a-sdx.asp>

ვადა : 16 თებერვალი 2021 წ

17. ჯონ შორენშტეინის ცენტრი ჰარვარდში იღებს განაცხადებს სტიპენდიისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

სტიპენდიის მოპოვებისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით. კანდიდატები უნდა იყონ დაინტერესებული საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხების კვლევით და გამოცდილების გაზიარებით.

კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის ჰარვარდის ინსტიტუტი იღებს განაცხადებს ჯონ შორენშტეინის ცენტრის სტიპენდიის მისაღებად.

განაცხადები მიიღება ჟურნალისტებისაგან, მეცნიერებისაგან და პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საზოგადოებრივი პოლიტიკის მიმართულებით და თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას.

შერჩეული კანდიდატები სტიპენდიის სახით მიიღებენ 30 000 დოლარს. ცენტრ არ ფარავს სამგზავრო და საცხოვრებელ ხარჯებს.

სტიპენდიანტებს ეძლევათ სამუშაო სივრცე, კომპიუტერი და ტელეფონი. კანდიდატებმა უნდა წარადგინონ სამოტივაციო წერილი, შევსებული განაცხადის ფორმა და საკვლევო პროექტის გეგმა, რეზიუმე და რეკომენდაცია.

ვადა: 1 მარტი 2021 წ

დანვრილებით: <https://bit.ly/38ihkKW>

18. უფასო ღია კურსები OPEN Media Hub-საგან

გეოგრაფია - ევროპული სამეზობლო ქვეყნები

OPEN Media Hub <https://openmediahub.com/ru/> ევროპულ სამეზობლო ქვეყნებში მედიაპროფესიონალების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჟურნალისტებს სთავაზობს ონლაინ კურსებს. აღნიშნული კურსების გავლა და სერტიფიკატის მიღება შეუძლიათ ჟურნალისტებს, რედაქტორებს, მენეჯერებს და სხვა მედიასპეციალისტებს.

კურსების თემები ფარავს: მედიამენჯმენტს, კონტენტის წარმოებას, ევროკავშირის შესახებ თემების გაშუქებას, და ა.შ. ყველა კურსი უფასოა და ხელმისაწვდომი, წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

დანვრილებით: <https://openmediahub.com/ru/e-learning/>

19. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - მსოფლიო

ორჰან ჯემალის სახელობის მედიაუსაფრთხოების აკადემიის ონლაინ კურსები შემუშავებულია პროფესიონალი და სამოქალაქო ჟურნალისტებისათვის, ფრილანსერებისათვის, ბლოგერებისა და ონლაინ აქტივისტებისათვის, რომლებიც იყენებენ რუსულს სამუშაო ენად. სწავლება უფასოა, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

აკადემიის 14 ტრენერი 9 ქვეყნიდან უძღვებიან შემდეგ ვიდეო კურსებს:

რისკების ანალიზი და სტრუქტურირებული ანალიტიკური ინსტრუმენტები

ძირითადი ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ზონაში

საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოება

ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება, მუშაობა ტრავმით

იურიდიული დაცვა მედია რისკებისაგან

აკადემიის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ყველა მოდულს და წარმატებით ჩააბარებენ ტესტს, მიიღებენ სერტიფიკატს ფონდისგან „სამართლიანობა ჟურნალისტებისათვის“

დანვრილებით: <https://jfj.academy/#about>

20. პანდემიის გავლენა ლოკალურ თემებზე - პროექტების დაფინანსება

გეოგრაფია - მსოფლიო

National Geographic შექმნა ფონდი ჟურნალისტებისათვის – COVID-19 Emergency Fund for Journalists.

დაფინანსების ოდენობა მერყეობს 1 000-დან 8 000 დოლარამდე, პროექტებისთვის, რომლებიც მოგვითხრობს პანდემიასთან ბრძოლის და ადამიანების ცხოვრებაზე მსოფლიო კრიზისი გავლენის თაობაზე.

განაცხადები მიიღება რეგულარულად. ყველა მასალა უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/33EWin5>

© **Baltic Centre for Media Excellence, 2021**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

<https://iwpr.net/>

<http://www.fmf-slovenija.si/en/>

<https://www.iwmf.org/>

<https://www.politics.ox.ac.uk/>

<https://www.poy.org/>

<https://www.grida.no/>

<https://www.marquette.edu/>

<https://www.faspe-ethics.org/>

<https://journalism.columbia.edu/>

<https://www.g4media.ro/>

<https://www.iwm.at/>

<https://www.traceinternational.org/>

<https://www.hillmanfoundation.org/>

<https://www.aipsmedia.com/>

<https://sigmaawards.org/>

<https://www.newamerica.org/>

<https://metcalfinstitute.org/>

<https://www.oneworldmedia.org.uk/>